

„გამტკიცებ“

საქართველოს ძიუდოს ეროვნული
ფედერაცია



„-----“ „-----“ 2018 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ჩემპიონატი უმცროსი ასაკის ჭაბუკებში
(ვაჟები)

2018 წელი
9-11 თებერვალი
თბილისი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;
- საქართველოს ძიუდოს უმცროსი ასაკის ჭაბუკთა (ვაჟები) ნაკრები გუნდის დაკომპლექტება.

II. შეჯიბრის ხელმძღვანელობა

- შეჯიბრის ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრის მონაწილეები

- შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან ის ძიუდოისტები, რომელთაც მოიპოვეს საქართველოს უმცროსი ასაკის ჭაბუკთა ჩემპიონატზე ასპარეზობის ლიცენზია.

IV. შეჯიბრის ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- კენჭისყრა ჩატარდება აწონვის დროს 9-10 თებერვალს.
- შეჯიბრი ჩატარდება 2018 წლის 10 თებერვალი - 11 თებერვალი, ქ. თბილისში ძიუდოს აკადემიაში.
- ჩამოსვლის დღე ქ. თბილისი - 9 თებერვალი, წასვლის დღე - 12 თებერვალი.
- შეჯიბრების დასაწყისი - 10.00 საათი.

V. შეჯიბრის ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 8 წონით კატეგორიაში:
46კგ; 50კგ; 55კგ; 60კგ; 66კგ; 73კგ; 81კგ; +81კგ;
10 თებერვალი - 46კგ; 50კგ; 55კგ; 60კგ;
11 თებერვალი - 66კგ; 73კგ; 81კგ; +81კგ;

VI. აწონვა

აწონვა ვაჟებში: ქ. თბილისში

9 თებერვალი თბილისში, ძიუდოს აკადემიაში

46კგ; 50კგ; 55კგ; 60კგ;

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 - 18.00 საათამდე;

10 თებერვალი თბილისში, ძიუდოს აკადემიაში

66კგ; 73კგ; 81კგ; +81კგ;

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 - 18.00 საათამდე;

VII. გამარჯვებულთა დაჯილდოვება

- თითოეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით.

VIII. შეჯიბრის ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენტა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.

- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: 2 51 64 66;

საკონტაქტო პირი – 577 99 44 07 ზურაბ უსუფაშვილი

საკონტაქტო პირი – 591 15 65 61 გიორგი ყიზილაშვილი

P.S.

- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- შეჯიბრებაზე სპორტსმენტათვის სავალდებულოა ლურჯი და თეთრი ფერის კიბანოს ქონა.

გენერალური მდივანი



გიორგი ათაბეგაშვილი